

თვითმმართველი ქალაქი

თელავის
მუნიციპალიტეტის

მერია



CITY HALL OF
MUNICIPALITY OF
SELF-GOVERNING
CITY TELAVI

№ 460

„03“ დეკემბერი 2014 წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

თვითმმართველი ქალაქი თელავის მერია გიგზავნით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაციას. გთხოვთ, ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია განათავსოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
იხ. დანართი - საკონკურსო განცხადება.

პატივისცემით,

თვითმმართველი ქალაქი
თელავის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი

თენგიზ მთვარულიშვილი

თვითმმართველი ქალაქი
თელავის მუნიციპალიტეტის
საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების
საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი N2

ქ. თელავი

03.12.2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ ჯავახიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე,
2. ვახტანგ გაგნიძე - კომისიის წევრი,
3. ნათია ვაყელიშვილი - კომისიის წევრი,
4. ზაქარია ბუტულაშვილი - კომისიის წევრი,
5. ნიკოლოზ ზაზუნაშვილი - კომისიის წევრი

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის მიერ ისტორიული დაზიანებული შენობების კვლევა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული კონკურსის **N1422** შედეგების განხილვა და ხელმეორედ გამოცხადება.
დაფინანსების წყარო - 2014-2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

განხილეს: თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტისთვის ისტორიული დაზიანებული შენობების კვლევა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვისთვის გამოცხადებული კონკურსში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადა დასრულდა 2014 წლის 2 დეკემბერს 16 საათზე. კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია არცერთ პრეტენდენტს, რის გამოც კონკურსი არ შედგა. კომისიის გადაწყვეტილებით აღნიშნული კონკურსი გამოცხადდეს ხელმეორედ უცვლელი პირობებით. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა) ქ. თელავში, ერეკლე II გამზ. N4-ში მდებარე შენობაში ამჟამად განთავსებული სამხატვრო სკოლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ბ) ქ. თელავში, ელენე ახვლედიანის ქ. N12-ში ორსართულიანი აგურის სახლის შენობის ნაწილის, აივნის და კიბის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 9000 ლარი. მიწოდების ვადა 2015 წლის 12 მარტამდე.

დაადგინეს:

გამოცხადდეს ხელშეორედ კონკურსი თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტისთვის ისტორიული დაზიანებული შენობების კვლევა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციით, ღირებულებით 9000 ლარი.

1.  ზ. ჯავახიშვილი

2.  ვ.გაგნიძე

3.  ნ.ვაყელიშვილი

4.  ზ.ბუტულაშვილი

5. ნ. ზაზუნაშვილი

ვინაიდან კომისიის წევრი ნ. ზაზუნაშვილი არ ესწრებოდა სხდომას, მას ეცნობა წინამდებარე ოქმში აღნიშნულის თაობაზე, რაზეც მას სხვა დამატებითი მოსაზრება არ გამოუთქვამს.